ბორჯომი

13 ივლისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№29 (9291)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

შეჯამებული სოციალური პროგრამები ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 2023 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით სოციალური პროგრამები შეაჯამა.

6 თვის მონაცემებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 563 211 ლარია გაცემული. დახმარება ჯამში 5 629 მოქალაქეს გაეწია.

მიმდინარე წელსაც გათვალისწინებულია მოქალაქეთა სტაციონარული, მედიკამენტოზური, სარიტუალო, 4 და მეტ შვილიანი ოჯახების, შშმ პირებისათვის, ღვაწლმოსილი ადამიანების, ახალდაქორწინებულების, ახალშობილების, 100 წელს გადაცილებულთა, დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება და სხვა.

მარტო მიმდინარე წლის ივნისშიბორჯომში მოქმედი სოციალური პროგრამები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპეციალურად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის შეიქმნა და ითვალისწინებს მერიამ დახმარება გაუწიოს, როგორც სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, ასევე მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მცხოვრებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, ივნისში 183 530 ლარის დაფინანსება გასცა.

აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 780 ბენეფიციარს გაუწია. 133 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 86 896 ლარი გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 92 ბენეფიციარი 11 599 ლარით დაფინანსდა. ონკოლოგიური დაავადებების მქონე 24 პაციენტი 22 923 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, მარტოხელა დედებმა, მრავალშვილიანმა ოჯახებმა და სხვა ბენეფიციარებმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.

ქალაქი ყვავილებით დამშვენდა

სალვია, ბეგონია, პეტუნია, იმპატიენსი, ტაგეტისი, პორტულაკი - ეს ის ყვავილებია, რომლებიც ა(ა)იპ „ბორჯომის გამწვანებას 2012-ის“ თანამშრომლებმა ქალაქის მთავარ ქუჩებზე არსებულ თარგებში, პარკებსა და სკვერებში დარგეს.

ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს სკვერებსა და სხვა გამწვანებულ ტერიტორიებზე დეკორატიული ხე-მცენარეების გასხვლა-ფორმირება და მწვანე საფარის გათიბვის სამუშაოები.

SOS
ნაგვის გორები სადგერში!

ისე როგორც მთელ საქართველოში, ბორჯომის ხეობაშიც ზაფხულის საკურორტო და ტურისტული სეზონი ძალაშია. თვალნათლივ იგრძნობა ტურისტთა და მოაგარაკეთა სიმრავლე, რომლებსაც შინაარსიან დასვენებასთან ერთად აინტერესებთ - მხარის ისტორიული წარსული, დღევანდელობა, ადგილობრივი მცხოვრებლების სოციალური, ზნეობრივი და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნიუანსები. მოაგარაკის და ტურისტის ღირსეულად მიღება-გასტუმრება არ ესწავლება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ხოლო ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტურისტული სეზონის მაღალ დონეზე ჩატარებას, მაქსიმუმს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენს ხეობაში ჩამოსული მოაგარაკე თუ ტურისტი ყოველმხრივ კმაყოფილი და მდიდარი შთაბეჭდილებებით წავიდეს ჩვენი ხეობიდან.

სამწუხაროდ, ყველას არ ესმის ეს ფუნდამენტური მოთხოვნები.

სულ ახლახანს სოფელ სადგერში დასასვენებლად მყოფმა ოჯახმა წერილთან ერთად სურათიც გამოგვიგზავნა, სადაც ამ ლამაზი სოფლის იმ სამარცხვინო ფაქტის შესახებ მოგვწერა, რასაც პირადად შეესწრო.

აი, რას გვწერს სადგერში დასასვენებლად მყოფი მოაგარაკე:

- ძვირფასო რედაქციავ, გულიტკივილით გვინდა გაცნობოთ, რომ სოფელ ზედა სადგერის საავტომობილო გზის ნაპირზე დახვავებული სამშენებლო ნარჩენები და ნაგავი ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზეა დაყრილი. ახლა სადგერში აგარაკების მშენებლობის ბუმია და მშენებლობას ყოველთვის გარკვეული ნაგავი რჩება, ჰოდა, ვისაც რა დარჩა გადასაყრელი, ყველამ სოფლის ბოლოში გამოძებნა ადგილი და იქ დაყარა, რითაც გარემოც დააბინძურა და სოფლის იერსახეც სერიოზულად დააუშნოვა. როგორც ჩანს, ამ ყველაფერს სოფლის თავკაცებმაც თვალი აარიდეს, მეზობლების წყენას მოერიდნენ და სამშენებლო ნარჩენების და ნაგვის გორების გატანისათვის თავს არც არავინ იწუხებს. არადა, ასეთი განუკითხაობა სერიოზულად ულახავს სახელს არა მარტო სოფელ სადგერს, არამედ მთლიანად ჩვენს სასიქადულო და პოპულარულ ბორჯომს.

ძვირფასო რედაქციავ, გვაინტერესებს ბორჯომის მუნიციპალიტეტს თუ ყავს პასუხისმგებელი პირი, ვისაც ასე უსისტემოდ და უპასუხისმგებლოდ დაყრილი ნაგვის თუ უხარისხოდ შესრულებული სამუშაობებზე კონტროლი ევალება. დღეს, როცა ევროპისაკენ ვიმზირებით და ევროგაერთიანებაში გვინდა გაწევრიანება, ასეთი უპასუხიმგებლობით იქ არავინ მიგვიღებს. ნამდვილად საცოდაობაა ზოგიერთი მოქალაქის ქცევა, რომელსაც არაფრად უღირს ქვეყნის იმიჯი და მისი მომავალი.

პატივისცემით **იამზე კაკაბაძის** ოჯახი.
თბილისიდან.

კომპანია „ბორჯომის“ სამაგშო ღონისძიება

კომპანია „ბორჯომმა“ ტრადიციულად წელსაც, თანამშრომლების შვილებისთვის და ბორჯომელი პატარებისთვის, ზაფხულის დღესასწაული დაგეგმა. ეს ღონისძიება ყოველწლიურად, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ეძღვნება.

პანდემიის შემდეგ, საბავშვო დღესასწაული ბორჯომში, უკვე მესამედ ჩატარდა. წელს, კომპანიამ პატარა სტუმრებს სტუდია **„ანაბანას“** უფროსი თაობის და **მარიკო ებრალიძის** კონცერტით უმასპინძლა.

მერაბ ახმეტელი, „ბორჯომის“ №1 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი:

- კომპანია „ბორჯომმა უკვე ტრადიციად აქცია, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, ჩვენი თანამშრომლების შვილებისთვის და ბორჯომელი ბავშვებისთვის გასართობი ღონისძიებების მოწყობა.

დღევანდელი დღეც სწორედ ამის დასტურია. სტუმრებს სხვადასხვა აქტივობასთან ერთად, შევთავაზეთ ძალიან საინტერესო მუსიკალური პროგრამა, „ანაბანას“ და მარიკო ებრალიძის შესრულებით. ვფიქრობ, რომ ამ დღით ყველამ ისიამოვნა.

ბორჯომში გამართულ ზეიმს პატარებთან ერთად, კომპანიის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. ბორჯომის სტადიონი კიდევ ერთხელ გადაიქცა მხიარულების და საბავშვო დღესასწაულის ადგილად.

ათონელობა - 2023

10 ივლისს ტაძრისის თემში გაიმართა ტრადიციული საზეიმო ღონისძიება მიძღვნილი წმინდანის გიორგი მთაწმინდელი-(ათონელის) ხსოვნისადმი.

ჩატარდა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები და სპორტული შეჯიბრებები. ზეიმს ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი და რაიონის ხელმძღვანელები.

ვრცლად ღონისძიების შესახებ შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში.

ბაკურიანის №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, ამხანაგობა „დიდველი რეკრეაციის“ მიერ წარმოდგენილ იქნა ბაკურიანის გენერალური გეგმით დადგენილი №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია. აღნიშნულის შემუშავების საჭიროება განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმებით.

დაგეგმვის მიზანია გენერალურ გეგმაში არსებული სათხილამურო ტრასის, საბაგიროს, მისასვლელი გზების და ღია სივრცეების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს მოწესრიგებული გეგმარებითი ერთეულები.

№8 საპროექტო არეალის განვითარების სამომავლო ხედვა ითვალისწინებს თავდაპირველად შეზღუდვების - სათხილამურო ტრასის, საბაგიროს გასხვისების ზონისა და მდინარის დაცვის ზოლების დადგენას, საპროექტო ტერიტორიის ორივე მხარეს. ასევე არსებული გზის (საბაგიროსკენ მიმავალი) შენარჩუნება-გაუმჯობესებას. შემდეგ ეტაპზე მოხდება დარჩენილი ტერიტორიის თავიდან დაგეგმარება, ახალი გზების დამატება და რეკრეაციული ზონების გაჩენა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, აღნიშნული პროექტი ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

№8 საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2023 წლის 31 ივლისს, 13:00 საათზე, მისამართზე - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №6.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება ბაკურიანის №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებული ელექტრონული დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს 2023 წლის 21 აგვისტოსი, სსიპ - სივრცითი ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge

სიმართლე შენს მხარესაა

ღია წერილი გაზეთ „ბორჯომი“-ს რედაქტორს ბატონ ვალერიან ლომიძეს

ჩემო ძმაო და მეგობარო! - მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ჯანმრთელობის გამო რამდენიმე თვეა ბორჯომში არ ვარ, ასე თუ ისე, ვფლობ სიტუაციას, თუ რა მდგომარეობაა მთლიანად რაიონში და რა განწყობაა საზოგადოებაში. ყველაფერზე რა თქმა უნდა, ვერ ჩავწვდები და არც ჩემ კომპეტენციაში შედის, მაგრამ ჩვენ ნალოლიავებელ საუკუნოვან გაზეთ „ბორჯომს“ რომ გვიჩაგრავენ და ყოველმხრივ ცდილობენ მის ჩაძირვას, შეუარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

მიუხედავად ამისა, ბარაქალა შენს თავგანწირვას, მრავალ გაჭირვებაგამოვლილმა, რაიონის ერთგულმა გულშემატკივარმა, ბორჯომში დამსახურებული ავტორიტეტის მქონემ, **აგერ უკვე მეშვიდე თვეა მრავალი წინააღმდეგობების მიუხედავად რედაქციის მცირერიცხოვანმა თანამშრომლებმა არ დააღალატეთ გაზეთის 1300 ხელისმომწერი, ისინი ყოველ ხუთშაბათს ელოდებიან გაზეთ „ბორჯომს“, და ეს მაშინ, როცა 10-კაციანი კოლექტივი ფაქტიურად განეიარებულია და ვინც შემორჩა, ისინი სამ თვეში ერთხელ 200-250 ლარს იღებენ ხელფასად. ეს კი რედაქციის ე.წ. „მტრებზე“ ნამდვილად უდიდესი გამარჯვებაა. ბარაქალა თქვენს თავგანწირვას.**

ყველაზე დიდი დატვირთვა შენზეა, ვიცი, რომ დღედაღამე შრომობ, წვალობ, ეძებ ორგანიზაციებს და პროგრენებს, ვისაც შეუძლია მცირედით მაინც დაგეხმაროს.

რა დამავიწყებს განვლილ 30-იან წლებს, მაშინაც ძალიან გვიჭირდა. შენთან ერთად მთელ საქართველოში დავდიოდით, ხან სტამბას ვეძებდით გაზეთის დასაბეჭდად, ხან ფულს ვაგროვებდით თანამშრომელთა ხელფასებისათვის, საკუთარი სტამბაც შევიძინეთ და რედაქციის ჟურნალისტები პოლიგრაფიის სპეციალობებს დავეუფლეთ. რომ იტყვიან, ბენვის ხიდზე ვიარეთ და გაზეთის არცერთი ნომერი არ ჩაგვიგდია, იმ წლებშიც იყვნენ მოშურნენი. ვერ იტანდნენ ჩვენს გამბედაობას, მონდომებას. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მაშინაც სცადეს გაზეთის გამოშვება, მაგრამ ორიოდე ნომრის მეტი ვერ გამოსცეს და ალიარეს, გაზეთის გამოცემა რთული საქმე ყოფილაო.

ახლა ახალი მეტოქე გამოუჩნდა გაზეთს, „ჩვენიანების ჩაწყობით“ და ხელშეწყობით. ორიოდე ნომერი ამ ვაი-გაზეთისა მეზობელმა გამომიგზავნა, ნახე რას ცოდვილობს ეს ვითომ ჟურნალისტო. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად არ ვარ ჩვენს რაიონში, ერთგული მეგობრები ხშირად მირეკავენ, თემურ, შენ ხომ ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები შეალიე ჩვენს საუკუნოვან გაზეთს, რატომ არაფერს წერო. ისინი მართლები არიან, მაგრამ ბორჯომის საზოგადოება მარტო მე ხომ არ ვარ, ნუთუ არავის ესირცხვილება, რომ ჩვენს რაიონში შინაური მგრების ხელშეწყობით ვიღაც ნაჟურნალისტარი და საეჭვო წარმომავლობის და წარსულის მქონე ადამიანი ტენდერში „იმარჯვებს“ და მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულების პირობებსაც არ ასრულებს და გაზეთს უფასოდ არიგებს, რომელსაც არავინ კითხულობს, რადგან ამ გაზეთში ხელისუფლების გუნდრუკის კმეევის მეტი არაფერი წერია... მოსახლეობასაც თვალებში ნაცარს აყრის და ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიგანილი გონია.

ცოტაც და ეს ხელისუფლებაც შეიცვლება ჩვენს რაიონში, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებს, **ხელშეკრულების გაფორმებიდან მეშვიდე თვე მთავრდება და დღემდე გაზეთის 1000 ხელმომწერი ვერ დათვალეს, უფასოდ გაზეთის დარიგება თუ უნდოდათ, ხელშეკრულებას რისთვის აფორმებდნენ. როგორც ჩანს, ყველაფერი შავი ძაფითაა ნაკერი...**

და ბოლოს, დიდი მადლობა იმ ადამიანებს, ბიზნესმენებს, მეწარმეებს, რომლებიც გაზეთის გადარჩენისათვის შესაძლებლობის ფარგლებში გეხმარებიან.

ბატონო ვალერიან, მოგიწოდებ, გამარგრდი, ბრძოლა მოგიწევს და ვიცი, გამარჯვებული გამოხვალ, იქ სადაც მტერია, მოყვარე უფრო მეტია, იმედი არ დაკარგო, სიმართლე შენ მხარესაა.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ჩემი შეუსრულებელი ოცნებები!

80 წელი ცოტა არაა, ხანდაზმულობის, მოხუცებულობის დასაწყისია და ამ ხნის ადამიანი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, განვლილი წლების მოგონებებით უნდა აგრძელებდეს ცხოვრებას, მემუარებს წერდეს და შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს უტოვებდეს, რათა ისინი ამაყობდნენ შენი განვლილი ცხოვრებით.

გუშინდელი დღესავით გაირბინა 80 წელმა. ცხოვრებაში მრავალი სირთულის და გაჭირვების გადატანა მომიხდა, არაერთი დაუმსახურებელი სიტყვაც უკადრებიათ. შურის, დამცირების, ბოღმის, უსაფუძვლო ბრალდების მომსწრეც ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ღმერთი ყოველთვის ჩემ მხარეს იყო.

კარიერულ წინსვლაში არ მყოლია პროტეჟი, ხელის წამომკრავი, არც ფული მქონია ქრთამად მისაცემი, რასაც მივაღწიე, მხოლოდ ჩემი შრომისმოყვარეობით, ცოდნით, პატიოსნებით. ვინც ჩემი წარსული იცის, ალბათ დამეთანხმება, რომ ეს ასეა. ზოგს გულზე არ ეხატებოდა მწვავე, მამხილებელი წერილები, რა ვქნათ, სხვაგვარად არ შემეძლო, რასაც ემსახურები, პირნათლად, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულო. ადამიანი თავისი სინდისის წინაშე მართალი უნდა იყოს. რაც გავაკეთე, ზღვაში წვეთია, მეტი იყო საჭირო. ადამიანს ბევრის გაკეთებისათვის უფლის მიერ დაწესებული წლები არ ყოფნის. დავრწმუნდი, მართლაც წუთია ჩვენი სიცოცხლე.

ბევრი კარგი საქმეც გავაკეთე, მაგრამ უფრო მეტი შეუსრულებელი მრჩება.

დღემდე შეუსრულებელი მრჩება, წლების მანძილზე არაერთხელ ხმამაღლა გაჟღერებული და არაერთხელ გამოქვეყნებული ჩემი ოცნებები:

ბორჯომს ისეთივე მზრუნველობა ესაჭიროება, როგორც საკუთარ ოჯახს, ბორჯომის გაკეთილშობილებისათვის მარტო ხელისუფლება კი არა, თითოეული ბორჯომელი უნდა ზრუნავდეს;

დროის მოთხოვნაა, ბორჯომში უნდა დაჩქარდეს მძლავრი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად იბრძოლებს ქალაქის და დაბა-სოფლების თანამედროვე განვითარება-აღმშენებლობისათვის. ასეთი საზოგადოება ყველა პოლიტიკურ ძალაზე მაღლა უნდა იდგეს და მხარში ედგეს ხელისფლებას. იგი უნდა იყოს ხელისუფლების კეთილმოსურნე ოპონენტი;

სამწუხაროდ, სამოქალაქო საზოგადოების წევრთა წინადადებებს ბორჯომის ხელისუფლება სერიოზულად არ აღიქვამს, არადა, მწამს, რომ მოგვისმინოს, ბორჯომი კიდევ უფრო ლამაზი და მომხიბვლელი იქნება.

ბორჯომმა დაკარგა კულტურის ცენტრის და ბალნეოკურორტის სტატუსი, მის აღდგენას ათეულობით წლების ძალისხმევა დაჭირდება;

ოცნებად მრჩება ბორჯომში დაჩქარდეს საკურორტო და ტურისტული მძლავრი ინფრასტრუქტურის მოწყობამშენებლობა. თუ გვინდა ბორჯომი გახდეს ტურისტებისათვის სამოთხე, ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს.

30 წელზე მეტია ვიბრძვი და ვითხოვ გოგიას ციხის რესტავრაციას, რომელიც თავზე გვენგრევა, ასევე ვითხოვ თორის და ნეძვის არქეოლოგიურ კვლევა-ძიების დაჩქარებას, რასაც დღემდე ვერ მივაღწიე. ვინ აღარ შევაწუხე, მაგრამ ამაოდ... სანამ ცოცხალი ვიქნები, ამ მიმართულებით ბრძოლას მაინც გავაგრძელებ.

ბორჯომში სამი წმინდანი გვყავს და ეს მართლაც გამორჩეული სიმდიდრეა. (შალვა თორელი, გიორგი მთაწმინდელი, დედაო საბიანა (მთაწმინდელის აღმზრდელი), (შეიძლება გრიგოლ ხანძთელიც ჩვენებურად ჩავთვალოთ). (ნეძვი, ბერის საყდრები, ფოთოლეთი, კვირიკეწმინდა, მისმა მონაფეებმა ააშენს. ამ წმინდანებს ძეგლი უნდა დავუდგათ.

შესასრულებელი სამუშაოების გაგრძელებას მომავალშიც შემოგთავაზებთ.

და ბოლოს, გაზეთ „ბორჯომის“ შესახებ. მისი გადარჩენა „სიცოცხლის ფასად“ დაუჯდა რედაქციის კოლექტივს. გაზეთი რეგიონში მარტო ჩვენს ქალაქში გამოდის და ავად თუ კარგად თავის ფუნქციას ასრულებს. საუკუნეს მიტანებული გაზეთი „ბორჯომი“ ჩვენი ხეობის მემატიანეა, მისი აბუჩად აგდების უფლება არავის აქვს.

მავანთა ხელისშეწყობით ტენდერში ქუთაისელმა ქალბატონმა „გაიმარჯვა“. მუნიციპალიტეტის მერიისა და ტენდერში გამარჯვებულ ქალბატონ გუბელაძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც არც დამკვეთი და არც შემსრულებელი არ ასრულებს. საკითხავია, რატომ? ძალიან მაინტერესებს, რატომ კატეგორიულად არ ითხოვს ხელშეკრულების შესრულებას ბორჯომის მერი ბატონი ოთარ არბოლიშვილი?..

ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდი თვე გადის და მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დღემდე ვერ დათვალეს ტენდერში გამარჯვებული გაზეთის 1000 (ათასი) ხელისმომწერი. საინტერესოა, რა უშლის ხელს ხელშეკრულების შესრულებას? თუ მერია ვერ ითვლის 1000 აბონენტს, ოფიციალურად მისი დათვლა დაავალეთ, საზოგადოება „ბორჯომელებს“ და ერთ კვირაში პრობლემა გადაწყვეტილი იქნება). მაგრამ როგორც ჩანს, არც მერს და არც ახალი გაზეთის რედაქტორს ამ ხელშეკრულების გაუქმება არ „აწყობთ“, რატომ, ამ კითხვას პასუხი არ აქვს.

(თემის გაგრძელება იქნება)

ვალერიან ლომიძე

რატო ვერ ვიმეტებთ გავშვებისთვის სიკეთეს?

თუ გიყვარს შენი კუთხე, თანაც ისეთი, როგორიც ჩვენი მწვანეში ჩაფლული პატარა ბორჯომია, ფიქრობ, კიდევ რით გავალამაზო, რა გავუკეთო, რითი გამოვადგე? მით უფრო თუ შენი პროფესიონალი გემოვნება და გამოცდილება ამას გავალებს:

მეც, იმ დღიდან, რაც სამხატვრო აკადემია დამთავრებული ბორჯომში ჩამოვედი, ასეთი სულისკვეთებით ვცხოვრობ. ცუდია, როცა ესა თუ ის საკითხი შენ აშკარად უკეთესად გესახება, ამას მუდმივად ამტკიცებ, მაგრამ არ ითვალისწინებენ... ბოლოს ჩუმდები და იძულებით ეთანხმები... ამ დროს საქმე ფუჭდება, შენ არ გასვენებს შენი სიმართლე, მათ არ ესმით, გეჯიუტებიან და მიდიხარ უთანხმოებამდე.

ბევრ საკითხთა შორის, რომელიც სწორედ ასე ფუჭდებოდა, არის წლების მანძილზე გადაუწყვეტელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის ქალაქში ადგილის შერჩევის საკითხი. მრავალმხრივ ნიჭიერი ბორჯომელი ბავშვები იმსახურებენ პრესტიჟულ სასახლეში სწავლას, ისეთის, როგორიც თბილისელ მოსწავლე-ახალგაზრდობას აქვს, ხოლო მათთვის განკუთვნილ დღეს არსებული შენობა არაფრით არაა ბავშვებისათვის გამოსაყენებელი და მისასვლელად მოუხერხებელი...

წლებია, რაც მე მოსწავლე-ახალგაზრდობის ამ სახლში ვმუშაობ, ვხედავ, რომ არსებული შენობა არ ასრულებს თავის ფუნქციას და მიუხედავად იმისა, რომ აქ მუშაობს შესანიშნავი პედაგოგიური პერსონალი, რომელიც მაღალი კვალიფიციურობით გამოირჩევა, თავიანთ სფეროში, მაინც არ ჩანს ენთუზიასტთა მოსწავლე-მასწავლებელთა შედეგები. რატომ?

იმიტომ, რომ შენობა არ პასუხობს მოთხოვნებს და პირიქით, ხელს უშლის სწავლის პროცესს.

ამ თემაზე ყოველთვის ვაყენებდით წინადადებას შესაბამის ორგანოებში. ჩვენამდე 60-70-აინ წლებში ამ სკოლის იმდროინდელი დირექტორი ედუარად ვახტანგიშვილი ითხოვდა კოსტავას ბაღში არსებული, დაცარიელებული შენობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის გადაცემას.

ამ ადგილს დღესაც ვითხოვთ, ვინაიდან შენობის ადგილმდებარეობა და ფართი შესანიშნავად ესადაგება სასწავლო პროცესს, მშობლები უარს არ იტყოდნენ ქალაქის ცენტრში, მოხერხებულ ადგილზე ბავშვთა დამოუკიდებლად გაშვებაზეც და ბავშვებიც სიამაყით ივლიდნენ თავიანთ სასახლეში.

სწორედ დღეს არსებულ შენობაში მოუხერხებელი მისადგომია ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც იქ მოსულ ბავშვებს მალევე უკარგავს ჩვენთან სიარულის სურვილს... არა და დასაწყისში დიდი ენთუზიაზმით ეწერებიან და ირჩევენ გაერთიანებას შემოქმედებით წრეებში: (ცეკვის, სიმღერის, ხატვის, მხარეთმცოდნეობის და სხვა).

ამ საკითხების პარალელურად, ვაყენებდი საკითხს საგამოფენო სივრცის მოწყობის შესახებ, ვინაიდან ხეობაში უამრავი ნიჭიერი მხატვარი გვყავს. ბევრი მათგანი მხატვართა კავშირის წევრიცაა, მაგრამ მათ თავის ქალაქში არ აქვთ საგამოფენო სივრცე. ამასთან დაკავშირებით დავაყენე საკითხი, რომ ამ საქმისათვის გამოგვეყენებინა ისტორიულ პარკში არსებული, ყოფილი მინერალური წყლის ქარხნის შენობა. აქ შეიძლებოდა საკონცერტო დარბაზის აღდგენაც და ისტორიული ფოტოებისა და მხატვართა ნამუშევრების გამოფენაც.

ეს იდეა გავანდეთ კულტურის სამინისტროს, მინისტრის მოადგილეს გიორგაძეს, რომელსაც იდეა მოეწონა და გვითხრა, რომ ამ შენობის აღდგენის შემდეგ სამინისტრო ბორჯომში 5 ისტორიული შენობის აღდგენას იწყებს. აღადგინეს ისტორიული ელსადგური, კოსტავას სახელობის ბაღში ე.წ. კავალერიის სასტუმროს (ყოფილი საბჭოთა პოლიკლინიკის) შენობა და ა.შ. მაგრამ რესტავრირებული შენობა თვალში ბევრს მოუვიდა და იწყება ბრძოლა მის ხელში ჩასაგდებად...

ფიქრობენ, რა ფუნქცია მიანიჭონ, რომ ბავშვებს გამოგლიჯონ ხელიდან ეს პატარა ოაზისი. ერთმა მათგანმა ისიც კი თქვა, რომ ბავშვებს აქ რა უნდათ, იხმაურებენ და რემონტს გააფუჭებენო. სხვათაშორის ამის პასუხად განათლების მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა თამარ მახარაშვილმა, რომელსაც მივმართეთ დახმარებისათვის, მითხრა, რომ ბავშებმა კიდეც უნდა იხმაურონ, კიდეც უნდა იცელქონ და არა უშავს, თუ უნებლიედ რაიმეს გააფუჭებენო. (ჩვენ დღესაც ველით მისგან შველას ამ საკითხის გადაწყვეტაში)...

მავანი ამ შენობაში მიხეილ რომანოვის მუზეუმის გახსნას აანონსებს... თუმცა მიხეილ რომანოვის სამუზეუმო ექსპონატები აღარ არსებობს...

ექსპონატთა გადატანა ახალ რესტავრირებულ კავალერიის შენობაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა ქალბატონმა ვიოლეტა ბალახაშვილმა დაიჟინა. მე ამ მოვლენას მთავითვე უარყოფითად შეეგები, რადგან უფრო უპრიანი იქნებოდა, რომანოვების მცირე რაოდენობის დარჩენილი ნივთები, რომელსაც ჩვენს მუზეუმში ერთი ოთახი ეყოფოდა, სჯობს განთავსდეს რომანოვების სასახლეშივე, რომელსაც მალე აღადგენენ.

ჩემი რჩევა იყო, ყოფილი კავალერიის შენობა (იგივე ყოფილი პოლიკლინიკის) ბავშვებისათვის დაგვეთმო.

არა და არ ცხრებიან და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ თავიანთი აკვიატებული პრინციპი გაიტანონ, თითქოს მე, თანგული ორთოიძეს რაღაც მერკანტილური განზრახვები მაქვს... არა და რა მიზანი უნდა მქონდეს ასაკში მყოფს, ჩემი შვილები და მოსწავლე-შვილიშვილები ხომ თბილისში ცხოვრობენ?

სხვათაშორის, ჩემთან ერთად ბრძოლაში ბევრი პროგრესულად მოაზროვნე, პატრიოტი ბორჯომელი დგას, ჩვენ ყველა ვფიქრობთ, რომ ბორჯმელ ბავშვებს განვითარების კარგი პირობები უნდა ჰქონდეთ, რომ ათას სიგლახესა და უზნეობას არ აყვნენ.

ამიტომ ვფიქრობ, რომ მუზეუმების გამრავლებას (საკმარისია!) სჯობს დღეს ბავშვებზე ვიზრუნოთ, ისინი ხომ ჩვენი მომავალია?

თანგული ორთოიძე,
მხატვარ-დიზაინერი, არაფორმალური სწავლების პედაგოგი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე.

მაკა ჯოხაძე

ოჯი ქრისტიანი

(სინანული და მიტევება)

როგორც ვიუწყებოდით 5-8 ივნისს ქუთაისი-საჩხერის და ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიების მიტროპოლიტის მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით ბორჯომში 5-8 ივნისს გაიმართა საგანმანათლებლო კვირეული ქრისტიანულ ღირებულებებზე.

კვირეულის ფარგლებში მეტად საინტერესო მოხსენებები ნარმოადგინეს თბილისიდან მოწვეულმა ცნობილმა ლექტორებმა, მეცნიერებმა, თეოლოგებმა, მათთან ერთად იყო ცნობილი პოეტი, ჩვენი თანამოქალაქე ქალბატონი *მაკა ჯოხაძე*, როველმაც შესანიშნავი ლექცია ნაკითხა დიდი ქართველი პოეტის *ანა კალანდაძის* შემოქმედების შესახებ. მთავაზობთ მაკა ჯოხაძის გამოსვლიდან მოხსენების ნაწყვეტებს.

ანა კალანდაძე რეკავს... მოკითხვის მერე მეუბნება, სანამ უშუალოდ ვისაუბრებდეთ, იქნებ გამაცნო საკითხებიო. წინა კვირას შევუთანხმდი გაზეთ „ჩვენი მწერლობისათვის“ დიალოგს.

- გინდათ დღეს გადმოგიტანოთ?

- თუ გცალია იქნებ ახლავე გადმოხვიდე.

გადავდივარ.

მიმილო როგორც იცის, თბილად, სიყვარულით. კარადის ქვედა კარს აღებს. მიეხვდი და ვეხვეწები არაფერზე შეწუხდეთ-მეთქი.

- ისეთი რამე უნდა დაგალევინო... დარწმუნებული ვარ, არ გექნება დალეული.

გამოაქვს გრაფინი, რომელშიც ულამაზესი ნარინჯისფერი სითხეა ჩასხმული. მაგიდაზე ორ ქილასაც დგამს და თვითონ მისხაქს. სითხე მდორედ გადმოდის გრაფინიდან.

- არაჩვეულებრივი სურნელი აქვს. - დალიე, დალიე.

- მოვსვი, საოცარი არომატი აქვს „აბლიპიხის“.

- გეცნობა?

იმდენად უნდა, არ მეცნობოდეს, რომ, არამეთქი, უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

- ქაცვისაა, ხომ გემრიელია?

- არაჩვეულებრივია...

- ჰოდა დალიე, დალიე, კიდევ უნდა დაგისხა.

თვითონაც სვამს.

საოცარი მასპინძელია ანა...

საკითხებს გადახედა და ამას კარგი ჩაჯდომა და ფიქრი უნდაო... წინასწარ იმაზეც ვუთანხმდები, რომ მასალას ფოტოებიც დასჭირდება და როცა მეტყვით ფოტოკორესპონდენტს მოვიყვან-მეთქი.

ისე მოულოდნელად იწყებს ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის თაობაზე საუბარს, რომ ჩემთვის ვფიქრობ (ალბათ ისევ დაიბეჭდა მასალები და სიები).

- მაკა ჩვენ ნათელმირონობა გვაკავშირებს.

სუნთქვა შემეკრა.

- ვიცი, ქალბატონო ანა.

- ჰოდა, იმ უბედური დღის მერე აღარც მინახავს ეს ბიჭი, მერე გადმასახლეს... დრო ხომ იცი, როგორ გარბის... ერთხელ მივდივარ რუსთაველზე, ძეგლები რომ იდგა მთავრობის სახლის წინ, ზუსტად იმ ადგილზე და ვხედავ, მოდის ზვიადი პირდაპირ ჩემსკენ... რომც გინდოდეს, გვერდს ვერ აუცდევ...

ვფიქრობ, რა ვქნა, რით დავიწყო... (მომეჩვენა, რომ სახეზე ალმურმა გადაჰკრა ანას).

მომიახლოვდა...

ზვიად... იცი ზვიად - და არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, როგორ უნდა გამოვხატო ჩემი მაშინდელი თუ ამწუთიერი განცდები და არ მაცლის. ჩამისუტა, მიმიკრა მკერდზე, მომიჭირა ხელები და მეუბნება:

- ქალბატონო ანა, რკინის მკვნეტელ კაცებს ტეხდნენ კომუნისტები... ეგ არაფერია, არ იფიქროთ მაგაზე.

მერე ანამ რალაცნაირი, დამშვიდებული ხმით დაამატა:

მე ასე იოლად არ ვტირი, მასთან მაინც შევიკავე თავი, მოვედი სახლში და ვიტირე.

უცებ ჩემი სულსწრაფობით თუ ეროული დახმარებით თითქმის ვეუდარები:

- ეს არ უნდა დაწეროთ? ქალბატონო ანა, დაწერეთ რა, დაწერეთ, რაც ახლა მოგიყვეთ...

ჩუმადაა. არაფერს ამბობს. ჩემთვის ვფიქრობ - ის მაინც თქვას, რომ ჯერ არ დაწერს, ჯერ დრო არაა.

ანა ისევ ჩუმადაა. არაფერს ამბობს.

2000წ.

(გაგრძელება იქნება)

გაიცანით ღირსეული თანამემამულე!

უფლისა და პაციენტის ერთგული მსახური

მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვამცნო, რომ ცნობილ და სახელოვანი ბორჯომელი ექიმების კოპორტას რამდენიმე წელია შეემატა ახალგაზრდა, მაგრამ სოლიდური გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციის და პროფესიონალი ექიმი, კარდიოლოგი, ახალდაბაში გაზრდილი და დაფრთიანებული ნანა ჩადუნელი, რომელმაც ძმის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ თავისი ბედი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუკავშირა, თუმცა კავშირი არ გაუწყვეტია მედიცინისთვის. თანაბარი ერთგულებით ემსახურება დედა ეკლესიას თსსუ ინგოროყვას სახელობის გულისა და სისხლძარღვთა მაღალი და ტექნოლოგიების კლინიკაში მრავალრიცხოვან პაციენტებს, სადაც დედაოს სახელით მიმართავენ. მასთან სამკურნალოდ მოსვედრას პაციენტთა დიდი ნაწილი ოცნებობს, იციან და პატივს მიაგებენ მის მაღალ კვალიფიკაციას, პროფესიონალიზმს და პაციენტთა მიმართ ერთგულ და უღალატო დამოკიდებულებას.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნანას გადაწყვეტილი ჰქონდა ექიმი გამოსულიყო. მის ამ ოცნებას ოჯახის მხარდაჭერა მოყვა და საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებით ჩაირიცხა სამედიცინო უნივერსიტეტში.

ინტერესანმა და ნიჭიერმა სტუდენტმა პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება დაიმსახურა. მას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ არამარტო თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების პროფესიონალის დონეზე ათვისებაში.

ნანა ჩადუნელმა წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წარმატებულ კურსდამთავრებულს თსსუ ინგოროყვას სახელობის მაღალი ტექნოლოგიების კლინიკაში გაუწია რეკომენდაცია, სადაც კარდიოლოგის თანამდებობაზე დაინიშნა. სულ მალე თავმდაბალმა და უბრალოებით გამორჩეულმა ექიმმა თანამშრომელთა და პაციენტთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ჩემი წერილის გმირის ნანა ჩადუნელის მშობლები ახალდაბაში, სამეზობლოსა და სანათესაოში იშვიათი ჰუმანური ბუნებით გამოირჩეოდნენ, სტუმარი მათთვის ღვთის საჩუქარი იყო. ნანას მამა ბატონი ტარიელი პატიოსანი და მშრომელი კაცი ბრძანდებოდა, ერთგულ მეუღლესთან ქალბატონ მზისასთან ერთად დამოუკიდებლად, ლამაზი ოჯახი შექმნეს, სამშობლოს სამი შვილი შესძინეს. ცხოვრებაში გზა გაუკვალეს. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ვაჟის მიმართ, დების საფიცარი ძმა ავთანდილი სანიმუშო ახალგაზრდა იყო, მექანიზატორის სპეციალობა აითვისა და მამის მხარდამხარ ოჯახის გაძლიერებისათვის ერთგული შრომით გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, ოჯახს არ გაუმართლა, ერთადერთი ვაჟი ტრაგიკულად დაეღუპათ, ჯავრით მამა ლოგინად ჩავარდა, რომლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ოჯახში მხოლოდ ქალები დარჩნენ, მათგან უმცროსი და ნატო უკვე გათხოვილი იყო. ოჯახის გაძლოლის მთელი სიმძიმე დედას ქალბატონ მზიას და ჩვენს სანაქებო ადამიანს დედაოს დააწვათ, მაგრამ როგორც ყოველთვის, სამ ფრონტზე მებრძოლ დედაოს, რომლის უმაღლესი ადამიანური თვისებების აღწერა კლასიკოს მწერალსაც გაუჭირდება, თავის ძვირფას და უთქმელ დედას უყურადღებოდ არ ტოვებს, ყოველმხრივ ცდილობს დაჩაგრული დედისგულის გამთელებას.

დედაო ყველაფერს აკეთებს, რომ მამის და ძმის დანატოვარ სახლში სიცოცხლე გრძელდებოდეს.

სამწუხაროდ, გაზეთის ფორმატი არ იძლევა ყველაფრის თქმის საშუალებას, მაგრამ ღრმად მწამს, მეც და ბევრი სხვაც არ დაიშურეს დედაოს მისამართით მადლიერების გამომხატველი სიტყვების თქმას, რომელთა რიცხვი ჩემი ჩათვლით ყოველდღიურად მატულობს, ამის საფუძველს მაძლევს დედაოს დიდი ადამიანური თვისებები. ეს მადლიანი ქალბატონი ავადმყოფ ადამიანებს აკვალიანებს, თავისთან მიყავს, რომ დროული და უანგარო მკურნალობით გამოაჯანმრთელოს და ოჯახის, ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს.

- დიდი მადლობა დედაო, - ამ სიტყვებს ყოველდღე ისმენს ამაგდარი ექიმი, რაც მას მეტ ენერგიას მატებს, დედაო მზადაა მასთან მოსულ მოქალაქეებს აგრძნობინოს, რომ მისი სახით მზრუნველი და მეტად ყურადღებიანი ექიმი დგას, რომელიც მაქსიმუმს გააკეთებს მათი ჯანმრთელობისათვის.

ძვირფასო დედაო! უფალი იყოს თქვენი მფარველი, არასოდეს მოგკლებოდეთ მადლიერი პაციენტების პატივისცემა და სიყვარული.

თემურ ხუციშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ქალთა აკადემიის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის

1 და 2 ივლისს სასტუმრო „ქრაუნ პლაზა ბორჯომმა“ „რეპორტიორ ქალთა აკადემიის“ - ტრენინგს უმასპინძლა. ტრენინგი ბორჯომში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოღვაწე და თბილისიდან მოწვეული ჟურნალისტებისათვის ჩატარდა. სემინარის მთავარი პროგრამა კი გახლდათ: „მრავალეთნიკურობა და მიგრაცია საქართველოში“. ტრენინგების ჩატარებას კი წინ უძღოდა ონლაინ კონფერენცია, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად.

საოცრად საინტერესო, მრავალფეროვანი და რაც მთავარია, ნაყოფიერი აღმოჩნდა თითოეული ჟურნალისტისთვის ტრენინგის ორივე დღე.

„სტერეოტიპები და ტრადიციები სამცხე-ჯავახეთში ქალები და მათი წარმომადგენლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკაში“. სწორედ ეს გახლდათ ტრენინგის პირველი თემა, რომლის შესახებაც ამავე თემის სპიკერმა, ტელეკომპანია „ბორჯომის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, **ნინო ვართაპეტიანმა** ისაუბრა. მან დეტალურად გააცნო ტრენინგის მონაწილეებს სამცხე-ჯავახეთში არსებული სტერეოტიპები და ტრადიციები. ასევე მოიყვანა კონკრეტული მაგალითები ქალების შეზღუდული უფლებებსა თუ მათზე ძალადობის ფორმებზე. ისაუბრა თუ რა სახის შეცდომებს ვხვდებით მედიაში ქალების გაშუქების კუთხით. რაც მთავარია, ჟურნალისტებმა სპიკერისგან მოისმინეს რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაითვალისწინონ სამომავლოდ აღნიშნულ თემებზე მუშაობისას.

მეორე თემა წარმოადგინა იურისტმა, ბატონმა **დიმიტრი ჩხიტუნიძემ,** ორგანიზაცია „საფარის“ რეგიონალურმა წარმომადგენელმა სამცხე-ჯავახეთში. მან ისაუბრა ქალების უფლებებზე, თუ სად და რა შემთხვევაში ირღვევა ქალების უფლებები და ვინ როგორ იცავს მათ უფლებებს.

ტრენინგის მონაწილეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ტრენინგის მესამე ნაწილის თემა სახელწოდებით: **„ქართველი ქალები და მიგრაცია (ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა)“.** აღნიშნული თემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM წარმომადგენელმა, **ნათია დიდებულიძემ,** რომელმაც ქალთა მიგრაციის თემაზე ისაუბრა. სპიკერმა წარმოადგინა მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები, ქართველი მიგრანტების შესახებ, თუ რა პირობებში უწევთ მათ ცხოვრება საზღვრებს გარეთ და უკვე სამშობლოში დაბრუნებულებს, რა სახის სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ მათი ორგანიზაციის ხელშეწყობით. პირადად ჩემთვის, აღმოჩენა გახლდათ აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა.

საოცრად ინფორმაციული გახლდათ ტრენინგის მეორე დღეც, რომელიც ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხებს შეეხებოდა. „სამხრეთის კარიბჭე“-ს დირექტორმა **გულნარა კოხოძემ** თავის მოხსენებაში სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემებს დაუთმო დრო. (ისაუბრა ეთნიკური სომხების, ებრაელების, ბერძნების, დუხობორების შესახებ).

ტრენინგის დასკვნით ნაწილში ტელეკომპანია „ბორჯომის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, **ეკატერინა ნოზაძემ** ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე, ასევე რა სახის პრობლემებს წააწყდა პირადად თვითონ აღნიშნული თემის ირგვლივ სტატიის მომზადებისას. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ქვეყნის არცერთ უწყებაში არ არსებობს მიგრანტების ზუსტი სტატისტიკა. მთელ რიგ მიზეზებს შორის, რის გამოც ჩვენი მოქალაქეები ტოვებენ ქვეყანას, მან ხაზი გაუსვა სამ ძირითად კომპონენტს, მაგალითად როგორიცაა: უმუშევრობა, **განათლება და უპერსპექტივობა.** ემოციური იყო ემიგრანტი დედებისა და ზოგადად ქალების ისტორიების მოსმენა, რომელთა შესახებაც ისაუბრა როგორც სპიკერმა, ასევე საკუთარი ახლობლებისა თუ ემიგრანტი ოჯახის წევრების შესახებ დამსწრე ჟურნალისტებმაც.

ტრენინგების დასასრულს, „რეპორტიორ ქალთა აკადემიის“ დირექტორმა, **გალინა პეტრიაშვილმა,** (გალა პეტრი-მ) ჟურნალისტებს საერთაშორისო მედიაკონკურსის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ამავე პროექტის ფარგლებში გამოცხადებული და მოიცავს სხვადასხვა ჟურნალისტური მასალების მომზადებასა და გამოქვეყნებას, რომელიც იქნება საუკეთესო ადამიანური ისტორიის (მიგრაციის, ომში თუ კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ქალების თემების) ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე, ნებისმიერი მედია საშუალების ქალ რეპორტიორებს შეეძლებათ. გამოვლინდება 9 გამარჯვებული. ხოლო, სამი საუკეთესო პუბლიკაციის ავტორი ბერლინში, სასწავლო ვიზიტით გაემგზავრება.

„რეპორტიორ ქალთა აკადემიამ“ ბორჯომის შემდეგ ტრენინგები გამართა ასევე საირმეში - 8-9 ივლისს, ხოლო ანაკლიაში - 15-16 ივლისს გაიმართება. ტრენინგის ყველა მონაწილეს სერტიფიკატები გადაეცათ.

საქართველოში „რეპორტიორ ქალთა აკადემია“-ს პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ახდენს.

მოამზადა
ნატო მელიქიძემ

ვულოცავთ!

დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, - 12 ივლისს, **ნათელა გოგოლაძეს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს მეუღლესთან და ჩვენთან ერთად. - ის ამაგი, რასაც ჩვენთვის აკეთებ, დაუფასებელია. მადლობა უფალს შენი არსებობისათვის. გვიყვარხარ და გვეიმედები.

შენი ოჯახი.

დაბადების დღეს ვულოცავთ ლამაზ, საოცრად, გამორჩეულ ქალბატონს სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიუროს უფროსს - **ნათელა გოგოლაძეს!** გულწრფელად გისურვებთ, რომ თქვენი ცხოვრების ყოველი ახალი დღე იყოს სავსე ოპტიმიზმით, საინტერესო შემოქმედებითი იდეებით.

გასული წელი დატვირთული იყო მოვლენებით - იყო ბევრი მიღწევა და გამარჯვებები, მაგრამ ასევე იყო სირთულეები, გამოწვევები, რომელიც თქვენებურად ღირსეულად იქნა დაძლეული. ჩვენთვის თქვენ მეგობრობის ჭეშმარიტი განსახიერება ხართ! ჩვენ ხმამაღლა, სიამაყით ვუწოდებთ თქვენთან თანამშრომლობას - მეგობრობას, თქვენი მეგობრობა კი ჩვენთვის ფასდაუდებელია! ადვილია ცხოვრების გავლა, როცა მახლობლად ბევრი გულია, რომელიც გიყვარს და გაფასებს! თქვენ გაქვთ ის შუქი, რომელსაც შეუძლია გაათბოს მთელი სამყარო და გაახაროს თქვენთან ახლოს მყოფი ადამიანები, თქვენ შექმენით თქვენი ცხოვრება თქვენი შრომით, თქვენი ყურადღებით, ნიჭით, ბობოქარი ენერგიით... თქვენი ზრუნვით ათბობთ ადამიანებს. გულწრფელი სიყვარულით და დიდი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმტკიცეს, ბედნიერებასა და, რა თქმა უნდა, წარმატებებს ყველა იმ მიზნის მიღწევაში, რომელიც თქვენ გაქვთ დასახული. მაგრამ ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი, ის რაც ყველაზე მთავარია - მზე ანათებს თქვენში! გვიყვარხართ და გვეამაყებით!

სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიუროს თანამშრომლები

ქალბატონმა **ჟუჟუნა მარკოზაშვილმა** ნახევარი საუკუნე იღვაწა გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში ერუდიციით. კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ერთგული შრომით გვერდში ედგა გაზეთის კოლექტივს, დღესაც ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და გულშემატკივარია.

15 ივლისს ქალბატონ ჟუჟუნას 87 წელი უსრულდება. გაზეთ „ბორჯომის“ თანამშრომლები გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს უხუცეს მეგობარს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს საყვარელი ოჯახის წევრებთან ერთად.

გაზეთ „ბორჯომის“ კოლექტივი.

თავთა მოციქულებს პეტრეს და პავლეს

გაქებთ, გაღიდებთ პეტრეს, პავლეს, თავთა მოციქულთ,
ვინც ჰპოვეთ წყარო, სიცოცხლედ რომ მოედინება,
და არსოდეს მოსწყურდება, იგემებს ვინც რო,
მოციქულობა თქვენი, თვითონ ღმერთმა ინება.
ძმებმა სიმონმა და ანდრიამ, მეთევზეებმა,
ბეთსაიდადან ღმერთი იცნეს და გაჰყვნენ მყისვე,
სიმონი გახდა პეტრე, ძეთა საყრდენი უფლის,
ვინც თავზე მეცად შეიყვარა იესო ქრისტე.
და იმ მგზნებარე ტრფობისათვის ერგო კლიტენი,
კაცად სასუფეველს შესასვლელად განსჯა-ცხრილვისა,
და ერთ-ერთ პირველს მას ეჩვენა მკვდრეთით,
იესო ქრისტე გახდა ღირსი მისი აღმდგარი ხილვისა.
პეტრევ, მარილო ამა სოფლის, ჩრდილით კურნავდი,
ცხვარსაც მწყემსავდი, უნათებდი ვით მზე და მთვარე,
თუმც რიჟრაჟამდე ქრისტეს სამჯერ უარყოფისთვის,
მამლის ყივილზე სინანულის ზღვა ცრემლი ღვარე.
და როცა პავლემ ქრისტიანთა დასარბევლად
დამასკოს გზაზე გადიარა ბორცვნი და ხევნი,
გამოეცხადა თვით უფალი, მართლით მოსილი
და ჰკითხა: მითხარ საუ, საუ რაისა მდევნი?
და ამ ზეციურ სიკაშკაშით დაბრმავებულსა,
თვალთ აგეხილა, შეიცანი სიცოცხლე ნალდი,
რომელიც არის თვით უფალი, იესო ქრისტე,
მას შემდეგ, სავლე, მოციქული ქრისტესი გახდი.
და ძველი აღქმის სავლე გახდი ახალი პავლე,
გამორჩეულად გულმხურვალე, მოშურნე დიდი,
ქრისტიანობა გაავრცელე, იყავ უშიში,
დააახლოვე, კაცის ღმერთთან შენ გახდი ხიდი.
და ქრისტეს რჯულის ერთგულება იყო მიზები
რბევის, ჩაქოლვის, ბევრი ჭირის, ცემის, დევნისა,
და ამ ყველაფრის ჯიდლოდ იყავ აცაცებული,
ზეცას ახიდე ნეტარება სასუფევლისა.
და ბოლოს ორნივ მოციქულნი ერთ დღეს აღსრულდით,
ქადაგებისთვის ქრისტეს რჯულის თქვენ დაისაჯეთ,
სიყვარულისთვის, კაცთა მოდგმის გადარჩენისთვის,
ერთგულებისთვის, სიკეთისთვის, რომ გაისარჯეთ!
და უფლის მსგავსად, თავდაყირა, ჯვარს გაცვეს პეტრე,
პავლე წახვედი სასუფეველს თავმოკვეთილი,
დიდება თქვენს სულს მოციქულნო, ევედრეთ უფალს,
მოგვცეს ცხოვრება ღვთივ სათნო და ბოლო კეთილი.

ოლიკო ლომიძე

ეროვნული გამოცდების ლაბირინთებში

3 ივლისს საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. 2023 წელს რეკორდულად ბევრი აპლიკანტი (45 000) აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. როგორც ყოველ წელს, არც აღნიშნული წელი ყოფილა გამონაკლისი თავისი გამორჩეული აბიტურიენტებით. აქტიურად ვადევნებთ თვალს გამოცდების მიმდინარეობას და სოციალურ ქსელში გავრცელებულ ერთ-ერთ საგამოცდო უბანზე გადაღებული აბიტურიენტის ფოტომ ნამდვილად მიიქცია ჩემი ყურადღება, სადაც აბიტურიენტი ჯარის ფორმით მივიდა. მან განაცხადა, რომ თუ უნივერსიტეტში ვერ მოხვდება, პირდაპირ ჯარში წავა. სასიამოვნოდ გასაოცარი და მოულოდნელი აღმოჩდა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, სადაც ვკითხულობთ, რომ: 45 წლის ახალციხელი **მეგი თათიშვილი** ეროვნულ გამოცდებს აბარებს. უფრო მეტად ავივსე სიამაყის გრძნობით, რომ შევიტვე, ქალბატონი ჩვენი რეგიონიდან გახლავთ. ეროვნული გამოცდების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას თან ახლდა ქალბატონი მეგის ტექსტი, რომელსაც ჩვენ მკითხველებს უცვლელად ვთავაზობთ:

- 45 წლის ვარ - 7 შვილის დედა და 2 შვილიშვილის ბებია. წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებს ვაბარებ. ამ ასაკში მიღებული ჩემი ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის ალბათ უცნაურია.

1995 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ოჯახური პირობების გამო, სამწუხაროდ, მეორე კურსიდან სწავლის გაგრძელება ვეღარ შევძელი. ამაზე გული, რა თქმა უნდა, ყოველთვის მწყდებოდა.

მეუღლე 3 წელია, რაც გარდაცვლილია. მას შემდეგ, რაც მარტო დავრჩი, მეტად გავაანალიზე, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, ქალისთვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას. სწავლას, უმაღლესი განათლების მიღებას, მე კი ამ ყველაფერს მოკლებული ვიყავი.

პირველი გამოცდა უკვე მქონდა.

მრავალი წინაღობის მიუხედავად, მაინც გადავწყვიტე სტერეოტიპების მსხვრევა და ამ გზით ყველასთვის (მათ შორის, საკუთარი თავისთვის) იმის ჩვენება, რომ, თუ მიზანს დაისახავ, ძალიან მოინდომებ, ასაკი საერთოდ არაფერს ნიშნავს.

ახლა საბავშვო ბაღში ვმუშაობ. აღმზრდელის თანაშემწე ვარ. მომავალშიც განათლების სფეროში ვგეგმავ განვითარებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისთვის დამოუკიდებლად მოვემზადე. იმედია, ყველაფერი გამომივა - აღნიშნავს აპლიკანტი.

P.S. **მე კი დავამატებდი იმას, რომ სწავლის სურვილს ასაკი ნამდვილად არ აქვს, ნამდვილად არასდროს არ არის გვიან, არასდროს არ უნდა დაყოოთ ფარხმალი, უნდა იბრძოლოთ საკუთარი მიზნების ასრულებისკენ, უკეთესი მომავლისაკენ და ყველაფერი გამოგივათ.**

ნატო მელიძე

ჩემ ქალაქში ცხოვრების მეშინია!

დღეს უარესი განცდებით გამეღვიძა. სოციალურ ქსელში შესულს, გეგუთელი ბიჭების დაკრძალვის კადრები მხვდება, სადღაც ზღვაში 16 წლის განზრახ მოკლული ბიჭის შესახებ ინფორმაციას ვაწყდები. თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალების გვერდზე ბორჯომელი დავით ხაჩიძის შესახებ ინფორმაცია დევს და გული უარესად ტკივილით მევსება, ცრემლები თავისით მოდის. ვერ აღვწერ რას ვგრძნობ, რას განვიცდი....

...შვილს აჩენ, ზრდი, ადამიანად აყალიბებ, დედა სიმშვიდეს ჰპოვებს, რომ კარგი შვილი გაზარდა, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, საზოგადოებისთვის მისაბაძია და ერთ დღესაც მოვა ვიღაც და იმის გამო, რომ „მისნაირი არამზადა“ არაა - გიკლავს. მარტო ფიზიკურად კი არ გიკლავს შვილს, მთელ შენ მომავალს, ოცნებებს კლავს. სადღაც წავიკითხე, რომ თურმე სამართალდამცავებს დაუშიშმიანებიათო, თუმცა არა, ადამიანი რომ მხოლოდ სიტყვიერად გერქმევა, ისევ უკან ბრუნდები და კლავ.

თქვენ, ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ სხვისი შვილი, მეუღლე, ძმა, ახლობელი, მეგობარი მოკლათ?

ღმერთო ჩემო, აღარც სამართლის ეშინიათ და არც საკუთარი სინდისის. აი, მე კი უკვე ჩემ პატარა, მყუდრო ქალაქში ცხოვრების მეშინია!!!

ნატო მელიძე

რედაქციის მინაწერი: ძალიან სამწუხაროა, ერთ დღეში ბორჯომში ორი ახალგაზრდა დავკარგეთ. ერთი ციკი იარაღით განგმირული და მეორე დამნაშავე, დაპატიმრებულის სახით. მერე და სად გვყავს ასე დასაკარგი ახლგაზრდები?! ოჯახებს, სანათესაო-სამეზობლოსა და სრულიად ბორჯომის საზოგადოებას მართებს ამ მეტად საგანგაშო და სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით დაფიქრება.

ვასიანგ და ნიკოლოზ მეტრეველების მონატრება

გაუსაძლისი ტკივილით, უიმედობით და დარდით გაილია თქვენი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე - 30 ივნისი.

მწუხარებით განადგურებულები და ცრემლებით სავსე მოგონებებით დატვირთული გული ვეღარ უძლებს ამ დიდ ტკივილს. თვალს რომ ცრემლი მოსძალებია, ძნელია თავის შეკავება, გვიჭირს ამ ტკივილთან გამკლავება, მაგრამ რით ვინუგეშოთ, არ არსებობს სიტყვა და ქმედება მის გასამკლავებლად.

ჩემო ვაჟკაცებო, ოჯახს გვინდოდა 22 მაისს თქვენთვის მოგვეელოცა ნიკოლოზობის დღე, მაგრამ მუხანათმა სიკვდილმა არ დაგინდოთ და ორივე სათაყვანებელი შვილი წაგვართვა.

თქვენი გარდაცვალებით სიბერეგამწარებული მშობლები, ძმა გიორგი და თქვენი ცოლშვილი საფლავებს მივტირით.

ჩვენო შვილებო, მჯერა, რომ ორივე ძმები სასუფეველში მოხვდებით და მანდედან ილოცებთ თქვენი ძმისთვის და ოჯახებისთვის. უფალი იყოს თქვენი ნათელი სულის მფარველი, ღვთიური მადლი ეფინოს თქვენს მარადიულ სამყოფელს.

სიკეთით სავსე ცხოვრება გაგინათებთ გზას მარადისობაში, ჩვენო დაუვიწყარო ტკივილო და დარდო, მოუშუშებელო იარა, რომელიც სამუდამოდ გვარგუნა ბედმა.

გულდათუთქული და გამწარებული მშობლები: თამარი მახათაძე, თამაზი მეტრეველი, ძმა გიორგი. მეუღლეები: ეკა, ნანუკა, გვანცა. შვილიშვილები: ხათათო, ალეძანდრე, ლილე, ნიკოლოზ მეტრეველები.

ფრიდონ ელიზბარაშვილის გახსენება

მარად 15 წლის სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გვაჩუქა შენ თავი და 15 წლის შემდეგ 15 ივლისს ისევ წაგვართვა. შავად გათენდა შენთვის და ყველა ჩვენგანისათვის 15 ივლისი. შეუბრალებელი და სასტიკია სიკვდილი. შენმა ბედისწერამ ნაადრევად წაგართვა სიცოცხლე და მარად ახალგაზრდა დაგტოვა. უდროოდ დასრულდა შენი ხალისიანი სიყვარულით სავსე ცხოვრების გზა. არცერთი ოცნება და ნატვრა არ შეგისრულდა. დღეს 40 წლის ვაჟკაცი იქნებოდი. 25 წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. დრო ძალიან ჩქარა გადის, მაგრამ შენ რომ ტკივილი დაგვიტოვე, არ რჩება, შენი მონატრების სურვილი არ ქრება. ორი წელი ხდება, მამაშენიც შენ გვერდით არის და შენ ყველანაირ ტკივილს და სინანულს ის გაიზიარებს. ძალიან ვწუხვარ, რომ დაბადების დღე მხოლოდ ცრემლებით მოგილოცეთ. ისევ დაგვრჩენია შენი ლამაზი სულისათვის ვილოცოთ. დაე, ჩვენმა მონატრებამ გაუნათოს გზა სასუფეველში ნაადრევად გაფრენილ შენ სპეტაკ სულს.

იხსენებ ოჯახი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიმურე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომიძე**